



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

N 1163/ს



17/07/2020

1163-11-4-202007171231

**სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (სოჭის ჯიშის I და II ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) – სულ 25.42- მ<sup>3</sup>) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N373) (4) განმეორებით გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 28 იანვრის დასკვნის N5000486920, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2019 წლის 19 დეკემბრის N19/42145 სამსახურებრივი ბარათის და ფინანსური დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 26 დეკემბრის N20203/10, 2020 წლის 10 თებერვლის N1769, 24 თებერვლის N2696 და 12 მარტის N3895 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N373 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ხაიშის სატყეო უბნის, ორმელეთის სატყეოს N68 კვარტალში, (ლიტერი 11) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 25.42 მ<sup>3</sup> წიწვოვანი სახეობის (სოჭის ჯიშის I და II ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი